დადგენილება:**დ-95. 95231511**

თარიღი:**31/05/2023**

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №4
31 მაისი 2023 წ.

დაბა ქედა

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-3 პუნქტების საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209^3 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილების, 239-ე მუხლის 27-ე ნაწილის, 240-ე მუხლისა და 242-ე მუხლის 3^1 ნაწილის, ნარჩენების მართვის კოდექსის 47-ე მუხლის პირველი, მე-8, მე-12-მე-15 ნაწილების, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^6 მუხლით, 77^1 მუხლით, 77^2 მუხლით, 82^5 მუხლით, 135, 146^1 მუხლით, 150 მუხლით, 150^1 მუხლით, 151 მუხლით, 152 მუხლით, 152^5 - 152^9 მუხლებით, 153^4 მუხლით, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილნი არიან ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში – ზედამხედველობის სამსახური) საჯარო მოხელეები (შემდგომში – საჯარო მოხელე).

მუხლი 2

დამტკიცდეს:

ა) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^6 მუხლით, 77^1 მუხლით, 77^2 მუხლით, 82^5 მუხლით, 135, 146^1 მუხლით, 150 მუხლით, 150^1 მუხლით, 151 მუხლით, 152 მუხლით, 152^5 - 152^9 მუხლებით, 153^4 მუხლით, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი (დანართის №1);

ბ) საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა (დანართი №2);

გ) საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის აღრიცხვის ჟურნალი (დანართი №3);

დ) გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა ოქმების ჩამოწერის ფორმა (დანართი №4);

ე) ახსნა-განმარტება და შენიშვნები საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსის გამო (ფორმა) (დანართი №5);

ვ) სააღსრულებო ფურცლის ფორმა (დანართი №6).

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის, საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 ივლის №5 დადგენილება;

ბ) „ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე – 35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით და 43-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას ოქმის შედგენაზე უფლებამოსილების მინიჭებისა და საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 ივლისის №10 დადგენილება.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი